სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რივერსტოუნი"-ს დირექტორი**

იურის გრაუდუმნიეკსის

მობ: 595 05-05-25;
ელ. ფოსტა: ntact@riversstone.ge

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„03" 10 2022წ.
№ 5290

# განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„რივერსტოუნს", დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქუჩა #7, ს/კ 46.02.45.323,** დაგეგმილი აქვს **სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავება**. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის წარმადობა ტოლი იქნებსა 90 ტონა საათში, ანუ წელიწადში **187200** ტონა პროდუქციის მიღება 260 სამუშაო დღით, დღეში 8 საათიანი რეჟიმით, რისთვისაც გამოიყენებს **192000 ტ/წელ მდინარის ბალასტს**. ტექნოლოგიურ ხაზზე ინერტული ნედლეულის გადამუშავება მოხდება სველი მეთოდით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის თანახმად ის ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება #2-332, 29/04/2022 წ) ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ყოველივე აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდა სკოპინგის ანგარიში.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს "**რივერსტოუნი**" ვალდებულია პირველ ეტაპზე მოამზადოს სკოპინგის ანგარიში, ხოლო შემდგომ სკოპინგის დასკვნის საფუძველზე გზშ-ს ანგარიში.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "**რივერსტოუნი**"-ს **სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავების საწარმოს** სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

იურის გრაუდუმნიეკს
დირექტორი